

## გერტრუდ სტაინის პეიზაჟური დრამატურგია

გერტრუდ სტაინი (1874-1946) - ამერიკელი მოდერნისტი მწერალი, პოეტი და დრამატურგი. მიიჩნევა მე-20 საუკუნის ავანგარდული ლიტერატურის სიმბოლოდ.

დაიბადა პენსილვანიაში, თანამედროვე პიტსბურგში, გერმანულ-ებრაული წარმოშობის ოჯახში. ბავშვობის ადრეული წლები ევროპაში - ავსტრიაში და საფრანგეთში გაატარა. მისი ოჯახი შეერთებულ შტატებში 1879 წელს დაბრუნდა და ოკლენდში, კალიფორნიაში დასახლდა. 1893 წელს გერტრუდ სტაინი რედკლიფის კოლეჯში (ქალთა ლიბერალური ხელოვნების კოლეჯი კემბრიჯში, მასაჩუსეტსი) ჩაირიცხა, რომელიც მაშინდელი ჰარვარდის კოლეჯს (იმ პერიოდში ჰარვარდში სწავლა მხოლოდ მამაკაცებს შეეძლოთ) უტოლდებოდა. ამერიკელი ფილოსოფოსისა და ფსიქოლოგის უილიამ ჯეიმზის ხელმძღვანელობით, რომელსაც ხშირად მოიხსენიებენ „ამერიკული ფსიქოლოგიის მამად“, სტაინი ოთხი წლის განმავლობაში ფსიქოლოგიასა და ფილოსოფიას შეისწავლიდა. სწორედ, უილიამ ჯეიმზმა მიიყვანა იგი „ცნობიერების ნაკადის“ ფენომენის შესწავლამდე, რამაც, როგორც ჩანს, შემდგომში გარკვეული გავლენა მოახდინა გერტრუდ სტაინის მოდერნისტული წერის სტილზე. რედკლიფის კოლეჯის დამთავრების შემდეგ, სტაინი, ჯეიმზის ინიციატივით, ჯონს ჰოპკინზის სამედიცინო სკოლაში ჩაირიცხა, ბალტიმორში, მერილენდი. სწორედ აქ დაიწყო მან თავისი სექსუალური იდენტობის შესწავლა, როდესაც ქალთან რომანი პირველად გააბა. სტაინმა თანდათან სამედიცინო საქმიანობის შესწავლისადმი ინტერესი დაკარგა და 1902 წელს, გამოცდებში ჩაჭრის შემდეგ, საბოლოოდ მიატოვა სწავლა და თავის ძმასთან, ლეოსთან გაემგზავრა ლონდონში, სადაც იგი ბოლო ერთი წლის განმავლობაში ცხოვრობდა. 1903 წელს გერტრუდ და ლეო სტაინები საბოლოოდ საცხოვრებლად პარიზში გადავიდნენ. რუ დე ფლერიუს #27-ში მდებარე სტაინების ბინა, პარიზში მე-20 საუკუნის ყველაზე ცნობილ ლიტერატურულ სალონად იქცა. გერტრუდ სტაინი კი პარიზის ხელოვნების სამყაროში ცენტრალური ფიგურა გახდა. ეს ადგილი მალევე გადაიქცა მრავალი ახალგაზრდა მხატვრისა და მწერლის

თავშეყრის ადგილად, მათ შორის იყვნენ: ანრი მატისი, ეზრა პაუნდი, პაბლო პიკასო, გიომ აპოლინერი, ფრენსის სკოტ ფიცჯერალდი, ერნესტ ჰემინგუეი, ჯეიმს ჯოისი და მრავალი სხვ. სწორედ გერტრუდ სტაინს ეკუთვნის ცნობილი ფარაზა „დაკარგული თაობა“, რომელიც მან პირველი მსოფლიო ომის პერიოდში მოღვაწე ამერიკელ მწერლებს შეარქვა. ხელოვნების მოყვარულმა და-ძმამ, ერთად ცხოვრების პერიოდში, ისეთი ცნობილი მხატვრების ნამუშევრები შეაგროვეს, როგორებიც არიან: რენუარი, სეზანი, გოგენი, მანე. მათ შორის, იმ დროისთვის უცნობი მხატვრების ნახატები, რაც მოიცავდა პიკასოს, ჟორჟ ბრაკისა და ხუან გრის ადრეულ კუბისტურ ნამუშევრებს. The New York Times-ის 1968 წლის სტატიაში, რუ დე ფლერიუს #27-ში მდებარე ბინა, მდინარე სენის მარცხენა სანაპიროზე, აღწერილია, როგორც „პირველი თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი“.<sup>1</sup>

გერტრუდ სტაინის ლიტერატურული მემკვიდრეობა მრავალფეროვანია და მოიცავს სხვადასხვა დროს გამოქვეყნებულ რომანებს, მოთხრობებს, პიესებს, ლექსებს, წაკითხულ ლექციებს. მათ შორის არის: ავტობიოგრაფიული მოთხრობა „Q.E.D.“ (1903), რომელიც ლესბოსელთა ურთიერთობის შესახებ მოგვითხრობს; „Fernhurst“ გამოგონილი ამბავი სასიყვარულო სამკუთხედის შესახებ ორ ქალსა და ერთ მამაკაცს შორის; რომანები „Three Lives“<sup>2</sup> (1905–06) და „The Making of Americans“ (1902–1911); კუბიზმის გავლენით დაწერილი „Tender Buttons“ (1914) და მრავალი სხვ. სტაინს ლიტერატურული წარმატება 1933 წელს გამოქვეყნებულმა მემუარულმა წიგნმა „ელის ბ. ტოკლასის ავტობიოგრაფიამ“ მოუტანა. ტექსტში ავტორს მთხრობელად თავისი პარტნიორი, ელის ტოკლასი ჰყავს გამოყვანილი. წიგნი მალევე გახდა ლიტერატურული ბესტსელერი და გერტრუდსა და ელისს დიდი წარმატება მოუტანა, როგორც ევროპაში, ასევე ამერიკაში. აქვე აღსანიშნავია, რომ მისი შემოქმედებიდან არაერთი ციტატა ფართოდ გახდა ცნობილი, მათ შორის: „ვარდი არის ვარდი ვარდი

---

<sup>1</sup> Gertrude Stein: A complex pioneer of modernism, <https://www.dw.com/en/gertrude-stein-a-complex-pioneer-of-modernism/a-58591036> (ბოლოს ნანახია: 21/03/2022)

<sup>2</sup> გერტრუდ სტაინის რომანი „სამი სიცოცხლე“ ქართულ ენაზე გამოსცა გამომცემლობამ „წიგნები ბათუმში, მთარგმნელი: მარიამ კორინთელი, 2021

ვარდია“<sup>3</sup>, რასაც ხშირად განმარტავენ „იდენტობის კანონის“ მტკიცებად, რომ „ა არის ა“ („A is A“).

გერტრუდ სტაინი ასევე იქცა ქვიარ საზოგადოების თაყვანისცემის ობიექტად ქვიარ ლიტერატურის წერისა და ელის ტოკლასთან 40-წლიანი დოკუმენტირებული სასიყვარულო ურთიერთობის გამო. 1980-იან წლებში ელის უნივერსიტეტმა 300-მდე რომანტიკული ხასიათის მიმოწერა სტაინსა და ტოკლასს შორის საჯარო გახადა.

გერტრუდ სტაინის წერის სტილი შეიძლება ითქვას, რომ უნიკალური და მხოლოდ მისთვის დამახასიათებელია. მისი წერის მანერა ხასიათდება რთული სტრუქტურით, ხშირ შემთხვევაში, პუნქტუაციის ნორმების სრული უგულებელყოფით, გამეორების მხატვრული ხერხის ინტენსიური გამოყენებით და გარკვეულწილად, ცნობიერების ნაკადის ტექნიკით. სტაინის ბევრი ექსპერიმენტული ნამუშევარი (მაგალითად, როგორც არის „Tender Buttons“) კრიტიკოსებმა განმარტეს, როგორც „პატრიარქალური ენის“ ფემინისტური გადამუშავება. და მიუხედავად იმისა, რომ სტაინის მოდერნისტული ტექსტები ავანგარდულ წრეებში დიდ მოწონებას იმსახურებდა, ფართო საზოგადოებისთვის მაინც გაუგებარი აღმოჩნდა (რაც დღემდე ასეა). მისი წერის სტილის თეორიული ახსნა ყველაზე კარგად მოცემულია მისსავე ესეში „Composition as Explanation“ (გამოიცა წიგნად 1926 წელს), რომელიც სტაინის მიერ ოქსფორდისა და კემბრიჯის უნივერსიტეტებში წაკითხულ ლექციებს ეფუძნება<sup>4</sup>, სადაც ავტორი ამტკიცებს, რომ კულტურული და მხატვრული კონტექსტი გავლენას ახდენს ლიტერატურული ნაწარმოების როგორც წერის, ასევე მისი წაკითხვის გზებზე და პრობლემას ხედავს იმაში, რომ ზოგჯერ მწერალი და მკითხველი ერთსა და იმავე კონტექსტს არ იზიარებენ. როდესაც მწერლებს თავიანთ ნამუშევრებში აზროვნების ახალი მოდელი შემოაქვთ, მკითხველმა შეიძლება იგი მიიჩნიოს შეუღწევად, მისი

---

<sup>3</sup> „A rose is a rose is a rose“, ციტატა მოყვანილია გერტრუდ სტაინის წიგნიდან „გეოგრაფია და პიესები“ (Geography and Plays, 1922), უფრო ზუსტად, მისი ლექსიდან „Sacred Emily“ (თარგმანი ჩემია), <https://www.gutenberg.org/files/33403/33403-h/33403-h.htm> (ბოლოს ნანახია: 21/03/2022)

<sup>4</sup> Kuiper K., Gertrude Stein, American writer, <https://www.britannica.com/biography/Gertrude-Stein> (ბოლოს ნანახია: 22/03/2022)

გონებისთვის მიუწვდომლად. ამის მაგალითად სტაინმა მოიყვანა საკუთარი მიგნება „უწყვეტი აწმყო“ („continuous present“), რომელიც მისთვის „ბუნებრივია“, ხოლო მკითხველისთვის რთულად გასაგები.<sup>5</sup>

1935 წელს გერტრუდ სტაინმა წაიკითხა ლექცია თეატრის შესახებ სახელწოდებით „პიესები“, სადაც იგი საუბრობს დრამის ახალ ფორმაზე, რომელსაც უწოდებს „პეიზაჟურ დრამას“ („landscape drama“).<sup>6</sup> ისტორიულად, ტერმინი „პეიზაჟი“ სახვით ხელოვნებაში გაჩნდა და ჩამოყალიბდა ჟანრად, რომელშიც ბუნების სურათებია ასახული. პეიზაჟური მხატვრობა განსაკუთრებით მე-17 საუკუნეში გახდა პოპულარული. სტაინი თავის ლექციაში არსებითად განმარტავს, რომ მისი პიესები და ოპერის ლიბრეტოები არის ტექსტური და დრამატული პეიზაჟები, შთაგონებული მისი საზაფხულო სახლით საფრანგეთში. ამერიკელი ლიტერატურის კრიტიკოსის ჯეინ პალატინი ბაუერსის (Jane Palatini Bowers) თქმით, სტაინი, როდესაც თავის პიესებს უწოდებს პეიზაჟურს, ამით პარალელს ავლებს სახვით ხელოვნებასთან, განსაკუთრებით, პეიზაჟურ ფერწერასთან. იქვე ბაუერსი ავითარებს მოსაზრებას, რომ სტაინმა, მისი პიესების პეიზაჟებად წარმოდგენისას, შეძლო გათავისუფლებულიყო დრამატული კონვენციებისგან და ჩაეტარებინა ექსპერიმენტები ახალი ფორმებით, რომლებიც სათავეს იღებდნენ არა დრამატულ ლიტერატურაში, არამედ თანამედროვე მხატვრობაში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გერტრუდ სტაინმა შექმნა თეატრის ახალი პარადიგმა, რომელიც ძირს უთხრიდა „ლიტერატურულს“ „ვიზუალურის“ სასარგებლოდ. გერტრუდ სტაინმა 1922 წელს დაწერა პიესა „Lend A Hand or Four Religions“, რომელიც პირველად განიხილა, როგორც „პეიზაჟური“. ასევე, პიესები

---

<sup>5</sup> Stein G., Composition as Explanation, Essay on Poetic Theory, <https://www.poetryfoundation.org/articles/69481/composition-as-explanation#:~:text=The%20composition%20is%20the%20thing,a%20thing%20they%20are%20doing> (ბოლოს ნანახია: 22/03/2022)

<sup>6</sup> გერტრუდ სტაინი პირდაპირ არ იყენებს ტერმინს „პეიზაჟური პიესა“, მაგრამ ეს არის ტერმინი, რომელიც ფართოდ გამოიყენება მისი თეორიის „პიესა, როგორც პეიზაჟი“ აღსაწერად. ლექციის „პიესები“ ბოლოს ავტორი ავითარებს იდეას „პიესა, როგორც პეიზაჟი“ და გვთავაზობს მას დრამის ალტერნატიულ ფორმად.

(„What Happened“; „White Wines“; „Do Let Us Go Away“; „Please Do Not Suffer“; „Bonne Annee“; „Turkey Bones and Eating and We Liked It.“ და მრავალი სხვ.), რომლებიც შესულია 1922 წელს გამოცემულ წიგნში „გეოგრაფია და პიესები“ არის განხილული პეიზაჟური პერსპექტივიდან. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჯეინ პალატინი ბაუერსს ეკუთვნის ცნობილი ნაშრომი სტაინის დრამატურგიულ ესთეტიკაზე „They Watch Me as They Watch This: Gertrude Stein's Metadrama“, რაც აღმოჩნდა პირველი მცდელობა სტაინის დრამატურგიის სრულად შესწავლისა. წიგნში ავტორი ყურადღებას ამახვილებს სტაინის წვლილზე ჟანრის განვითარებაში და გვთავაზობს მისი „რთულად წასაკითხი“ პიესების თავისებურ ანალიზს. სტაინის პიესების შესახებ წერისას, ბაუერსი იყენებს როგორც სემიოტიკურ, ასევე სტრუქტურალისტურ ანალიზის მეთოდს, მაგრამ თავს არიდებს ზედმეტად აბსტრაქტულ ენასა და „მეცნიერულ“ მიდგომას, რომელიც ხშირად დაკავშირებულია ამ ტიპის კრიტიკულ ნაშრომებთან. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თეორიული ნაშრომი სტაინის დრამატურგიაზე ეკუთვნის ბეტსი ალაინ რაიანს (Betsy Alayne Ryan) „Gertrude Stein's Theatre of the Absolute“, სადაც ავტორი მიმოიხილავს სტაინის 77 პიესას და მის გავლენას თანამედროვე ავანგარდულ თეატრზე.

გერთრულ სტაინმა თითქმის ასი პიესა დაწერა, რომელთა უმეტესობა გამოიცა ავტორის სიცოცხლეში. სტაინს, როდესაც ახალგაზრდობაში სპექტაკლებს ესწრებოდა, უჭირდა ერთდროულად მოქმედებისთვისაც მიედევნებინა თვალყური და ტექსტისთვისაც მოესმინა. ამიტომ, მომავალში იგი შეეცადა შეექმნა ისეთი პიესები, რომლებშიც ენა არ სცილდებოდა მოქმედებას.<sup>7</sup> სტაინის პიესებს არ აქვთ ტრადიციული დრამატული სტრუქტურა და აგებულება. მათი არატრადიციულობა წარმოშვა იმ სათეატრო ენამ, რომელსაც იგი იყენებდა წერის დროს. თუ ტრადიციული პიესების საშუალებით ჩვენ შეგვიძლია შევიხედოთ დრამატულ სამყაროში, რომელსაც ქმნის ენა, სტაინის პიესები გვაიძულებს ყურადღება გავამახვილოთ დრამაზე,

---

<sup>7</sup> Soloski A., Who's afraid of Gertrude Stein?

<https://www.theguardian.com/stage/theatreblog/2009/jun/12/gertrude-stein> (ბოლოს ნანახია: 22/03/2022)

რომელიც თავად არის ენის შემქმნელი. გერტრუდის პიესები გადმოსცემენ ავტორის კრიტიკულ იდეებსა და მოსაზრებებს ტრადიციული დრამის ფორმებზე. ამრიგად, სტაინის პიესები მეტადრამატულია: დრამები დრამის შესახებ. გერტრუდ სტაინის შეხედულებამ ენის თეატრალურობაზე და მისმა წიაღსვლებმა მეტატექსტების შექმნის სახით, დაარღვია ლიტერატურული კრიტიკისა და პრაქტიკის საზღვრები და უდიდესი გავლენა მოახდინა მეოცე საუკუნის დრამატურგებსა და პოეტებზე. იგი დღემდე რჩება ძალზედ სასარგებლო და გავლენიან ფიგურად დრამატურგებისთვის. აშშ-ში, უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში, მისი პიესები დრამატურგებისთვის განკუთვნილ არაერთ სასწავლო პროგრამაშია ჩასმული. გერტრუდ სტაინის მოდერნისტული პიესების ორიგინალურობის მიუხედავად, მისი დრამატული ნაწარმოებები დიდწილად უცნობია მსოფლიო თეატრალური სამყაროსთვის.

თანამედროვე ეტაპზე, გერტრუდ სტაინის შემოქმედება ლიტერატურული კრიტიკის მიერ შეფასებულია, არა როგორც „მნიშვნელოვანი“, არამედ „საინტერესო“. კრიტიკოსების ამ შეფასებისგან განსხვავებით, სტაინი არ იყო მოკრძალებული თვითშეფასებაში, როდესაც თქვა: „აინშტაინი საუკუნის შემოქმედებითი ფილოსოფიური გონება იყო, მე კი საუკუნის შემოქმედებითი ლიტერატურული გონება ვარ“.<sup>8</sup> მისი ლიტერატურული ექსპერიმენტები დღემდე თავსატეხია სტრუქტურალისტების, დეკონსტრუქციონისტებისა და ფემინისტიკური კრიტიკოსებისათვის.

იგი 1946 წლის 27 ივლისს, საფრანგეთში, 72 წლის ასაკში გარდაიცვალა. დაკრძალულია მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ პერ-ლაშეზის სასაფლაოზე, ისეთი გამოჩენილი პიროვნებების გვერდით, როგორებიც არიან: ოსკარ უაილდი, ფრედერიკ შოპენი, ედიტ პიაფი, ამადეო მოდლიანი და ჯიმ მორისონი.

---

<sup>8</sup> Kuiper K., Gertrude Stein, American writer, <https://www.britannica.com/biography/Gertrude-Stein> (ბოლოს ნანახია: 22/03/2022)

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. Gertrude Stein: A complex pioneer of modernism, <https://www.dw.com/en/gertrude-stein-a-complex-pioneer-of-modernism/a-58591036>, ბოლოს ნანახია: 21/03/2022
2. Kuiper K., Gertrude Stein, American writer, <https://www.britannica.com/biography/Gertrude-Stein>, ბოლოს ნანახია: 22/03/2022
3. Stein G., Plays, <http://davidkaplandirector.com/wp-content/uploads/2020/01/PLAYS-lecture-by-Gertrude-Stein.pdf>, ბოლოს ნანახია: 22/03/2022
4. Stein G., Geography and Plays, The Four Seas Press, Boston, USA, 1922  
<https://www.gutenberg.org/files/33403/33403-h/33403-h.htm>, ბოლოს ნანახია: 22/03/2022
5. Stein G., Composition as Explanation, Essay on Poetic Theory, <https://www.poetryfoundation.org/articles/69481/composition-as-explanation#:~:text=The%20composition%20is%20the%20thing,a%20thing%20they%20are%20doing.>, ბოლოს ნანახია: 22/03/2022
6. Soloski A., Who's afraid of Gertrude Stein?  
<https://www.theguardian.com/stage/theatreblog/2009/jun/12/gertrude-stein>, ბოლოს ნანახია: 22/03/2022

სტატიის ავტორი: ანა კვინიკაძე